საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2048
25/05/2022

2048-21-2-202205251727

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“
მის: ქ. ბათუმი, ი. აბაშიძის ქ. №6, ბ 2-3
ელ.ფოსტა: nino.gagua@agl.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №9261 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ღურტას და სოფ. პაქსაძეების მიმდებარედ მდ. აჭარისწყალზე შუახევის ჰესების კასკადის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ფუჭი ქანების №23 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ქვანაყარი ბერმის სიგრძე;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, ქვანაყარი ბერმის ამგები ლოდების ზომის გაანგარიშების ფორმულაში მოცემულია, რომ ბერმის ფერდობის დახრილობა შეადგენს - 1.5-ს, ხოლო გრაფიკულ ნაწილში ბერმის ფერდობის დახრილობა 1.0-ია. ამგები ქვის საანგარიშო დიამეტრი გამოთვლილია 1.5 ფერდობის შემთხვევისათვის. სხვა დახრილობის შემთხვევაში ქვის დიამეტრი და ბერმის მოცულობა იცვლება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ „ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობა დაგეგმილია მდინარე აჭარისწყლის ორივე სანაპიროზე. სამუშაოების ნაწილი იწარმოებს მდინარის აქტიურ კალაპოტში, რის გამოც მდინარის წყლის ხარისხზე მოსალოდნელია უარყოფითი ზემოქმედება“, თუმცა სკრინინგის განცხადებაში არ არის ინფორმაცია მდ. აჭარისწყალში გავრცელებულ იქტიოფაუნაზე, მათზე პროექტის განხორციელებით გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე;

- სკრინინგის განცხადებაში (გვ 9) მითითებულია, რომ „ქვის ბერმის ქვედა ნიშნული შესაძლოა შეიცვალოს უშუალოდ სამუშაოების წარმოებისას, რაც დამოკიდებული იქნება მყარი ქანების არსებობაზე, თუ ნაგებობის კვეთში დაფიქსირდება ძირითადი ქანები გარეცხვის სიღრმეზე მაღლა, ნაგებობა უნდა დაეფუძნოს ძირითად ქანებს“. შესაბამისად, დაუდგენელია თუ რა ქანებზე უნდა მოხდეს ნაპირსამაგრი ნაგებობის დაფუძნება. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, აუცილებელია დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების ჩატარება, რომლის საფუძველზე შემუშავებული პროექტის მიხედვით უნდა განხორციელდეს ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობა, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო